**საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს**

**აკადემიური პოზიციების დასაკავებლად:**

1. აკადემიური კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებებით:

1.1 ქიმია - 2 ვაკანსია პროფესორი
1.2 ფიზიკა - 1 ვაკანსია პროფესორი
1.3 ვეტერინარია - 2 ვაკანსია პროფესორი
1.4 პროპედევტიკა - 1 ვაკანსია პროფესორი
1.5 ენტომოლოგია - 1 ვაკანსია
1.6 სატყეო საქმე - 1 ვაკანსია პროფესორი
1.7 ნიადაგმცოდნეობა - 1 ვაკანსია პროფესორი
1.8 იმუნოლოგია - 1 ვაკანსია პროფესორი
1.9 აგრობიოტექნოლოგია - 1 ვაკანსია პროფესორი
1.10 ბიოქიმია - 1 ვაკანსია პროფესორი
1.11 ფიტოპათოლოგია - 1 ვაკანსია პროფესორი
1.12 მოლეკულური გენეტიკა - 1 ვაკანსია პროფესორი
1.13 აგრონომია - 1 ვაკანსია ასოცირებული პროფესორი
1.14 მცენარეთა ბიოლოგია - 1 ვაკანსია ასოცირებული პროფესორი
1.15 სასურსათო ტექნოლოგიები - 1 ვაკანსია ასოცირებული პროფესორი

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესაბამის მიმართულებებზე პირს უნდა ჰქონდეს:

- დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
- სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილება არანაკლებ 10 წლის;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები შესაბამისი მიმართულებით;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება არანაკლებ 10 წლის;
- საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო თემების ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- საგრანტო პროექტების განხორციელების გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნა.

2.2. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესაბამის მიმართულებებზე პირს უნდა ჰქონდეს:

- დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები შესაბამისი მიმართულებით;
- სამეცნიერო საქმიანობის არანკლებ 8 წლის გამოცდილება;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება არანაკლებ 8 წლის;
- საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო თემების ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნა.

2.3. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

3. განცხადებების მიღება იწარმოებს **2025 წლის 28 მაისიდან - 2025 წლის 2 ივნისის ჩათვლით.**

4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:
   - ბიოგრაფია (CV);
   - სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
   - შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
   - ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
   - პუბლიკაციების ჩამონათვალი;
   - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - **https://form.jotform.com/242522578965468**

6. კონკურსის პირველ ეტაპზე კანდიდატების შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე, იმ შერჩეულ კანდიდატებთან, რომლებმაც დააკმაყოფილეს პირველი ეტაპის მოთხოვნები ჩატარდება გასაუბრება (ან საჭიროების შემთხვევაში დაინიშნება საჩვენებელი ლექცია).

7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2025 წლის 3 ივნისიდან - 2025 წლის 6 ივნისის ჩათვლით.** კანდიდატების საბოლოო შერჩევის ვადად განისაზღვრება **2025 წლის 16 ივნისი.**

8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე.

**9. საკონტაქტო ინფორმაცია:**

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი.
ვებ-გვერდი: www.agruni.edu.ge
ელ.მისამართი: Vacancy@agruni.edu.ge